სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080111395830122

№ 4655

30 / დეკემბერი / 2022 წ.

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 1 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ: 405206566) 2022 წლის 1 დეკემბრის №01-12/567 მომართვა (რეგისტრაციის №9493), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფმა“ 2022 წლის 26, 28 და 29 დეკემბერს წარმოადგინა 2022 წლის 23, 27 და 29 დეკემბრის №23-12/601, №27-12/603 და №29-12/610 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №10410, №10516 და №10626), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2022 წლის 19 დეკემბრის № 4280 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ (ს/ნ: 405206566) 2023 წლის 3 იანვარს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე